პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 8 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

151 (849) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ქართული კონტრრევოლიუციის ნაფლეთები პროლეტარულ სასამართლოს წინაშე.

ამ მოკლე ხანში პროლეტარულ სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ქართული კონტრრევოლიუციის მეთაურები და აქტიური ხელმძღვანელები რიცხვით 47 კაცი, რომლებმაც გასულ წლის აგვისტოს თვეში საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მოაწყვეს კონტრრევოლიუციონური გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით.

ესენი არიან მენშევიკები, სოციალ-ფედერალისტები, მემარცხენე ესერები, ეროვნულ დემოკრატები და „სხიველები". ხელიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში ქართული დემოკრატიული პარტიები შეუდგენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას.

მენშევიკები, სოციალ ფედერალისტები, ეროვნულ დემოკრატები და სხვა, ყველა ესენი დაირაზმენ მშრომელთა ხალხის და კომპარტიის წინააღმდეგ და ყოველგვარი საშუალებით სცდილობდნენ ხელის შეშლას ხელისუფლებისათვის და საბჭოთა რესპუბლიკის დანგრევას. მაგრამ კომუნისტური პარტიის დაუღალავმა შრომამ, საბჭოთა ხელისუფლების ენერგიულ შემოქმედებით მუშაობამ ბოლო მოუღო ყოველგვარ უნდობლობას და გაუგებრობას მუშებში და გლეხებში, რომლებსაც უხვად სთესდენ ჩვენი მტრები.

ქართველი მუშები და გლეხები სამუდამოთ დარწმუნდენ მასში, რომ ერთად ერთი დამცველი და მათი ინტერესების გამტარებელი არის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

და მათ კიდევ სამუდამოდ პირი იბრუნეს კომუნისტურ პარტიისაკენ, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისაკენ. ასობით და ათასობით დასტოვეს მენშევიკური პარტიის რიგები მუშებმა.

რაც იყო პატიოსანი და საღი ანტი-საბჭოთა პარტიებში—ყველა მოშორდა მათ წყევლა-კრულვით და დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. დაცარიელდა ქართული დემოკრატიული პარტიების რიგები. მაგრამ მათში კიდევ დარჩენ საკმაოდ ბევრი გაბოროტებული პირები, რომლებიც მეტი გააფთრებით შეუდგენ მუშების და გლეხების წინააღმდეგ ბრძოლას და ხელიდან არ გააგდეს საზიზღარი საქმე.

მათ ზურგს უმაგრებდა გაქცეული მთავრობა და მთელი კონტრრევოლიუციონური ემიგრაცია. მათ ზურგს უმაგრებდენ აგრეთვე დასავლეთის იმპერიალისტები და აქეზებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაზე. და აი პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებული ქართული კონტრრევოლიუცია ახდენს ავანტიურას.

ის ღვრის მუშების და გლეხების სისხლს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, ბურჟუაზიული წესწყობილების აღსადგენათ და საქართველოს იმპერიალისტური ანტანტის საწველ ფურად გადასაქცევად.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და მშრომელთა განთავისუფლების ნიღაბის ქვეშ ისინი შეეცადნენ ამავე მუშების და გლეხების თავისუფლების და დამოუკიდებლობის დასამარებას.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ მყისვე აუგო მათ ავანტიურას წესი. კონტრ-რევოლიუციონური ამბოხება სასტიკად დამარცხებული იქმნა.

და აი ამ ავანტიურის ხელმძღვანელებს, ამ საზიზღარი საქმის სულის ჩამდგმელებს გაასამართლებს ამ დღეებში პროლეტარული სასამართლო.

და ის კიდეც დასდებს ღირსეულ მსჯავრს მათ, რომლებმაც ბურჟუაზიის და იმპერიალიზმის სასარგებლოდ ტყვილა უბრალოდ დაღვარეს ქართველი მუშების და გლეხების სისხლი და მოინდომეს მშრომელთა თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა.

## ბრძოლა მაროკოში.

მაროკოელებში, განსაკუთრებით მთიულ ტომებში, ჯერ კიდევ დაცულია პირველყოფილი საგვარეულო-თემური წესწყობილება.

ყოველი ტომი ან „გვარი" ირჩევს მამასახლისს განსაზღვრულ ვადით. მიწა, საწარმოო იარაღი, მეურნეობისათვის საჭირო ფული,—ყველაფერი ეს ითვლება ტომის საკუთრებად.

საფრანგეთის კოლონიზატორები, ესპანეთის ვაჭრები და კაპიტალისტები ყოველგვარი საშუალებით სცდილობდენ აქ კერძო კაპიტალისტურ საკუთრების დანერგვას მიწაზე, რომელიც კიდეც მიითვისეს.

ამ ჟამად ამხედრებული მაროკოს ტომები ყოველთვის იბრძოდენ საფრანგეთისა და ესპანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მაგრამ ეს ბრძოლა იყო ცალკეული.

თვითეული ტომი ცალკე იბრძოდა ევროპის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომ რიფების თორმეტი გვარის უფროსმა აბდ-ელ-ქერიმმა შესძლო ესპანელების დამარცხება, საფრანგეთზე დამორჩილებულმა მაროკოს ტომებმა დაიწყეს თავიანთ ღონისძიებათა გაერთიანება შეერთებული ბრძოლისათვის ფრანგების წინააღმდეგ.

საფრანგეთის არმიას ვერ აქვს საქმე მაინცდამაინც კარგად. ბევრი ნაწილები, რომლებიც შესდგებიან მეტნაწილად შავკანიანებისაგან, ხშირად გადადიან მაროკოელთა მხარეზე, რომლებმაც მაღლა აიღეს აჯანყების დროშა საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ალლასის მთებზე ამ ჟამად ირჩევა მაროკოს ექვს მილიონიანი მოსახლეობის ბედიღბალი. საფრანგეთს სურს ხელში ჩაიგდოს მთელი მაროკო და ხელი დაარეცხოს ესპანეთს. საფრანგეთის მხედრობა ერთ დროს კიდეც ეხმარებოდა აბდ-ელ-ქერიმს ესპანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლისსაც ეშინია აგრეთვე ესპანეთის მიახლოებისა ჰიბრალტარზე. *) იტალიაც თავის მხრივ სცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა ხმელთაშუა ზღვაზე, განსაკუთრებით მაროკოსა და ტუნისში. **) წინააღმდეგობა იმპერიალისტების ბანაკში სწორედ რომ ხელსაყრელია მაროკოსთვის.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია აწარმოებს გაძლიერებულ მუშაობას საფრანგეთში და მაროკოში საფრანგეთის ჯარის კაცებს შორის, სწევს აგიტაციას დაუძმობილდენ რევოლიუციონურ მაროკოელებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის.

არის საბუთი ვიფიქროთ, რომ იმპერიალისტები ვერ შესძლებენ ჩაახშონ სისხლში მაროკოს ხალხი, რომელმაც აიღო იარაღი თავის უფლებათა დასაცავად.

პ. კიტაიგოროდსკი.

*) ჰიბრალტარი—სიმაგრეა ხმელთაშუა ზღვაზე, რომელიც წაართვა ინგლისმა ესპანეთს 200 წლის წინად.

**) ტუნისი-საფრანგეთის ახალშენია ჩრდილოეთ აფრიკაში.

# ახალი რადიო-ამბები

## ამხ. ჩიჩერინის ნოტა პოლონეთის რწმუნებულის მიმართ.

28 ივნისს და პირველ ივლისს პოლონეთის სამხედრო ნაწილებმა მოახდინეს თავდასხმა ჩვენ მოდარაჯე რაზმებზე ლეპეშოვკა-შილიკის რაიონებში. ამის გამო ჩიჩერინმა გაუგზავნა პოლონეთის რწმუნებულს მოსკოვში ნოტა, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ასეთი მოქმედების წინააღმდეგ.

ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის და მოითხოვს პოლონეთის მთავრობისაგან მიიღოს ზომები, რათა მართლაც დაცულ იქნას სახელმწიფოს საზღვრის ხელშეუხებლობა და შექმნილ იქნას შერეული კომისია საქმის გამოსაძიებლად.

## თვალ-ახილის ხმა.

პ ლონეთის ნაწილების ჩვენს მოდარაჯე რაზმზე თავდასხმის არაპირდაპირი მიზეზია პოლონეთიდან გამოქცეული—პოდპორუჩიკი მონჩინსკი. ხარკოვში ჩამოსვლისას მან მიმართა საბჭოთა საზოგადოებრივ აზრს შემდეგი წერილით: „ჩემი გამოქცევის მიზეზია კლასობრივი სიძულვილი მჩაგვრელებისადმი. მე ჭეშმარიტი პოლონელი ვარ, მაგრამ, გული მტკივა, როცა ვხედავ ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ პოლონეთს იხსნიდა საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირი ეკონომიური კრიზისისაგან. მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ სასტიკად მძულს ძალაუფლების სათავეში მყოფი კაპიტალისტი და მემამულე რომელიც ჩაგრავს პოლონეთის ხალხსა და გლეხობას".

## გერმანიის პრესის ანტისაბჭოთა კამპანია.

**ბურჟუაზია აღშფოთებულია საბჭოთა მართლ-მსაჯულებით.**

გერმანიის სტუდენტ ფაშისტებზე განაჩენის გამო გერმანიის პრესა გაცხარებულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სხვათა შორის „ფრანკფურტ ცაიტუნგი" აღნიშნავს რომ ეს განაჩენი გერმანიის შეურაცყოფაა. მეტად დაინტერესებული არიან ინგლისის პოლიტიკური წრეები იმით, თუ რა შედეგი მოჰყვება გერმანიის სასტიკ ნოტას საბჭოთა მთავრობისადმი ამ ორ სახელმწიფოს ურთიერთობაში.

## ამხ. ზინოვიევი ტფილისში.



6 ივნისს ტფილისში ჩამოვიდა კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზინოვიევი.

## ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

### მტაცებლები „საბუთებს" ეძებენ.

თემთა პალატის სხდომაზე ლიბერალ კენვორტიმ ჰკითხა ჩემბერლენს, აქვს თუ არა მთავრობას რაიმე საბუთი, რომ საბჭოთა მთავრობა პასუხისმგებელია ჩინეთის მღელვარებაში.

ჩემბერლენმა უპასუხა: „საბჭოთა ელჩის სიტყვა პეკინში საკმაო საბუთია საბჭოთა მთავრობის გავლენისა ჩინეთის მღელვარებასა და არევდარევაზე. მაგრამ არის კიდევ სხვა საბუთებიც, რომლის გამოქვეყნება არ არის მიზანშეწონილი."

შეკითხვაზე, მზადაა თუ არა მინისტრი ჩიჩერინის წინადადების თანახმად განიხილონ ყოველი საკითხი ორივე ქვეყნის შესახებ მშვიდობიანობის განმტკიცების მიზნითო, ჩემბერლენმა უპასუხა უარყოფითად.

დასასრულ მუშათა პარტიის წევრის კლაინსის შეკითხვაზე ჩემბერლენმა განაცხადა: „მთავრობა ჯერ არ ფიქრობს საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკის შეცვლას, ხოლო თუ ეს საჭირო იქნება მთავრობა შეეცდება რაც შეიძლება დაჩქარებით გამოვიდეს ამის შესახებ განცხადებით თემთა პალატაში.

## მუშათა კონგრესი პარიზში.

**საფრანგეთის მუშათა კლასი მოითხოვს რიფებთან ზავს და მაროკოს ევაკუაციას.**

პარიზის ოლქის მუშათა კონგრესზე მუშებმა სასტიკად გაილაშქრეს მაროკოს ომისა და კაიოს საფინანსო გეგმების წინააღმდეგ. კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათაშორის მოითხოვენ რიფებთან ზავს და მაროკოს ევაკუაციას.

დასასრულ ილაპარაკა ვაინ-კუტიურიემ, რომელმაც გამოსთქვა სიხარული, რომ მუშათა კლასმა გაიღვიძა და მზადაა წინ დაუყენოს ბურჟუაზიულ ძალადობას პროლეტარიატის ძლიერება.

# ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

15 ივლისიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო შეუდგება საქართველოს პარიტეტულ კომიტეტისა და აგვისტოს „აჯანყების“ ხელმძღვანელების საქმის გარჩევას.

ამ დღიდან მშრომელთა სამსჯავროს წინაშე წარსდგებიან, ის ხალხი, რომლებმაც წარსული წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში იარაღით ხელში გაილაშქრეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ და ამით დაღვარეს მშრომელთა სისხლი.

ამ გამოსვლების მიზანი იყო, რომ შეიარაღებული ძალით ჩამოეგდოთ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში და კვლავ



იასონ ჯავახიშვილი.

37 წლისა, აზნაური გორის მაზ. სოფ. ძევერიდან. უმაღლესი განათლებით, პროფესიით ვექილი, უცოლო, სამართალში არ ყოფილა მიცემული, საქართ. ნაც.-დემ. პარტიის წევრი 1917 წლიდან, სცხოვრობდა არალეგალურად. ნაც.-დემ. ცეკას პრეზიდიუმის წევრი.

დაებრუნებიათ თავიანთი ბატონობა მშრომელ ხალხზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, აქ ერთ კომიტეტში გაერთიანდენ საქ. ანტი-საბჭოთა ყველა პარტიები, როგორც არიან: მენშევიკები, ესერები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები, სხვებიც და სხ. მიზნათ დაისახეს ებრძოლათ საერთო ძალით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბურჟუაზიული რეჟიმის აღსადგენად საქართველოში.

ჯერ კიდევ პარიტეტული კომიტეტის დაარსებამდე საქართველოში, საზღვარ-გარეთ გაქცეული სხვა და სხვა პარტიები გაერთიანდენ და დაარსეს საზღვარგარეთის ბიურო, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელებია და დირექტივები მიეცა საქართ. პარიტეტულ და ცენტრალურ კომიტეტებისათვის.

1922 წელში მენშევიკების არალეგალურ ცეკას მიერ საქართველოში მოწვეულ იქნა სამხედრო სპეცების თათბირი და გამომუშავებულ იქნა შეიარაღებულ გამოსვლების მოწყობის გეგმა.

ერთ და იმავე დროს იმავე წელში საქართველოში აარსებენ „სამხედრო ცენტრს“, რომელმაც შემდეგში დიდი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწია ქაქუცა ჩოლოყაშვილს და სხვა მრავალი ბანდების მოქმედებას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.



კონსტანტინე ანდრონიკაშვილი.

49 წლ. ყოფ. თავადი სიღნაღის მაზრის სოფ. ყარათიდან, უმაღლესი განათლებით, პროფესიით მასწავლებელი-ჟურნალისტი, ოჯახიანი, მეფის დროს სამართალში იყო მიცემული პოლიტ. საქმისთვის. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების) წევრი 1902 წლიდან, ყოფ. წევრი დამფუძნებელი კრებისა და სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, სცხოვრობდა არალეგალურათ. დაპატიმრებამდე იყო მენშევიკების ცეკას თავმჯდომარეთ.

საქართველოში მენშევიკების მუშაობა უფრო გაცხოველდა. ნ. ხომერიკისა და სხვების საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, რომლებიც მოქმედობდენ და ეწეოდენ გაცხარებულ მუშაობას აქ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საზღვარგარეთის ბიუროს დირექტივების თანახმად.

ხომერიკი საქართველოში დაბრუნებისთანავე კავშირს იჭერს სოფელთან და ამ მიზნისათვის ის აარსებს „სასოფლო კომისიას“.

პირველი შეიარაღებული გამოსვლა დანიშნული იყო 1923 წლისათვის, მაგრამ ნ. ხომერიკის დაპატიმრებამ ამას ხელი შეუშალა და ჩაიფუშა გამოსვლები.

მაგრამ ამითი არ ელება ბოლო ხელახალ გამოსვლების შესაძლებლობას. მენშევიკები კიდევ უფრო აფართოებენ მუშაობას და მტკიცე კავშირს აბამენ საზღვარგარეთის ბიუროსთან.

1924 წლის დასაწყისში საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩამოდიან ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ამ წელში აუცილებლათ მოეხდინათ გამოსვლები ძალა უფლების ხელში ასაღებათ, რადგან საამისო პირობები უკვე მზად იყო საერთაშორისო პირობებთან დაკავშირებით.

მაგრამ ვალიკო ჯუღელის მოულოდნელმა დაპატიმრებამ თავს ზარი დასცა პარიტეტულ კომიტეტს და მენშევიკურ ცეკას.

ამ ხანებში მიღებულ იქნა ნოე ჟორდანიას წერილი აჯანყების გეგმის განსახორციელებლათ საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

1924 წლის ზაფხულისათვის აჯანყების მოხდენის მზადება უკვე დამთავრებული იყო. აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში პარიტეტულმა კომიტეტმა თავადაზნაურების, სამღვდელოების, ვაჭრებისა და სხ. დახმარებით საქართ. სხვა და სხვა კუთხეში მოახდინა გამოსვლები და სურდა აეღო ხელში ძალაუფლება.



გიორგი ჯინორია.

37 წლისა, გლეხი სენაკის მაზ. სოფ. სორტადან. უმაღლესი განათლებით, პროფესიით იურისტი, ოჯახიანი, იყო მიცემული სასამართლოში. ს.-დ. მ. პ. (მენშევიკების წევრი 1904 წლიდან. ყოფ. მდივანი საქართველოსი დელეგაციისა პარიზის კონფერენციაზე, ყოფ. დელეგატი საქართველოს საერთაშორისო კონფერენციაზე. სცხოვრობდა არალეგალურად 1923 წლიდან. იყო მენშევიკების ცეკას პრეზიდიუმის წევრი.

მაგრამ ეს „აჯანყება“ ჩაქრობილ იქნა სულ რაღაც ორი—სამი დღის განმავლობაში მუშებისა და გლეხების მიერ.

ავანტიურის დროს და მისი ლიკვიდაციის შემდეგ დატუსაღებულ იქნენ პარიტეტული კომიტეტის, „სამხედრო ცენტრის“ და ცეკას მეთაურები—ანდრონიკაშვილი, ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი, იაშვილი ჯინორია, ონიაშვილი და სხ.

აი ვის ასამართლებს დღეს საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლება და მისი უზენაესი სასამართლო მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის გასაგონად საქართველოზე გამოიტანს ამ პირებს და საერთოდ მენშევიკური პარტიის კონტრრევოლუციონურ საქმიანობას და ღირსეულ მსჯავრს დადებს ქართველი მუშების და გლეხების მოღალატეებს და მტრებს.

# ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ.

## ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

### Ქ. Წ. Დ. Ა. ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲖᲔ.

როგორი პრემიები მიეცემათ.

**ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲔᲑᲡ:**

1. პრემია ა) ლენინის თხზულებათა სრული კრებული სურათით.
   ბ) 40 მან. ფულად.
2. პრემია ა) სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა—ღირებული 25 მან.
   ბ) 20 მან. ფულად.
3. პრემია ა) ჟურნალები „კრასნი ბიბლიოთეკარ“ და „კნიგონოშა“ ერთი წლით.
   ბ) პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა—15 მანეთად ღირებული.

**ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ:**

1. პრემია ა) მასიური ლიტერატურის ბიბლიოთეკა და კანონთა კოდექსი სამხედრო მოსამსახურეების შეღავათების შესახებ.

პირველი სამისთვის: ბ) ლენინის ბიოგრაფია და სურათი.
გ) გაზ. „ბედნოტა“ და „პრავდა“ მკითხველის არჩევანის მიხედვით 1 წლ.
დ) ჟურნალი „ნოვაია დერევნია“ ერთი წლით.
ე) რვეულები და ფანქრები.

2. პრემია ა) „ას წიგნიანი“ ბიბლიოთეკა, სახელგამი.

მეორე სამისთვის: ბ) ლენინის ბიოგრაფია.
გ) „კრესტიანსკაია გაზეტა“ ერთი წლით.
დ) რვეულები და ფანქრები.

3. პრემია ა) მასიური ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

დანარჩენ ექვსისთვის: ბ) „კრესტიანსკაია გაზეტა“ ერთი წლით.

ს უ ლ: სამი პრემია ბიბგამგეებისათვის და თორმეტი მკითხველებისთვის.

კონკურსის გამტარებელი კომისია.

## ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

**ქ. წ. დ. ა. საუკეთესო ბიბლიოთეკარსა და საუკეთესო მკითხველზე.**

ქ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს ბრძანების თანახმად ტარდება კონკურსი ჩვენი არმიის საუკეთესო ბიბლიოთეკარსა და საუკეთესო მკითხველზე.

საუკეთესოდ ჩაითვლებიან ის ბიბლიოთეკრები, რომელთა ბიბლიოთეკები აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

**ბიბლიოთეკის მატერიალურ მდგომარეობის მხრივ.**

1. ბიბლიოთეკის ბინის საკმაოდ მოწყობა მაგიდებით, სკამებით, თაროებით, კარადებით, საგამოფენო დაფებით და სხვა.
2. წიგნების დამტვერიანებისაგან დასაცავად უბრალო საშუალებებით გაკეთებული წიგნების ჰიგიენური შესანახი.
3. საკმაო და რეგულიარული მიღება ფულის იმ თანხიდან, რომელიც გადადებულია პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისთვის და ბიბლიოთეკის შევსება ახალი წიგნებით.

**ტეხნიკა და წიგნების შემადგენლობა.**

1. ინვენტარის სწორად წარმოება.
2. წიგნების სწორად დაყოფა განყოფილებებად.
3. წიგნების სწორი და წესიერი დამუშავება.
4. წიგნების ჩქარი და მარტივი გაცემა და გამოცვლა.
5. წიგნის შეკეთება, თუნდა უბრალოც.
6. ბიბლიოთეკის თავის დროზე გაწმენდა ზედმეტი, მოძველებული და უვარგისი წიგნებისაგან.
7. წითელ არმიელთათვის მისაწვდომი ლიტერატურის საკმაო რაოდენობა სამშობლო ენაზე.
8. მკითხველთა აღრიცხვის წარმოება ლენინის კუთხეებში.
9. გაზეთების აკინძვა (შეკერვა) და შენახვა.

**აქტიური საბიბლიოთეკო მუშაობა.**

1. სხარტი მხატვრული, გასაგები ლოზუნგები და პლაკატები.
2. გამოფენები, რომლებიც იძლევიან თვალსაჩინო სარგებლობას.
3. აქტიური და წარმატებითი ბრძოლა წიგნების მავნებლების წინააღმდეგ. მისი შედეგები.
4. გაზეთების კითხვის აქტიური ხელმძღვანელობა.
5. რეგულიარული კითხვა-საუბრები წითელ-არმიელთა მასების მონაწილეობით ცხოვრების თემებზე წიგნის რეკომენდაციით.
6. მასიური საბიბლიოთეკო მუშაობა; საღამოები, ინსცენიროვკები.
7. კარგი ლენინის კუთხე ბიბლიოთეკასთან და ბიბლიოთეკის აქტიური მონაწილეობა კლუბისა და ყაზარმების ლენინის კუთხეებში.
8. ბიბლიოთეკის დახმარება კომუჯრედის მუშაობისა ან ნაწილის პარტ-კოლექტივზე.
9. ბიბლიოთეკის ცოცხალი კავშირი პოლიტსათათან სკოლასთან, კლუბთან სამოქალაქო ბიბლიოთეკასთან.
10. აქტიური მუშაობა სამხედრო ლიტერატურაში.
11. ნაწილის საცნობო მუშაობაზე დახმარება და სოფელზე შეფობაში მონაწილეობა.
12. მკითხველთა ინტერესების აღრიცხვა და მკითხველთა ინტერესებთან შეფარდებულ კითხვის ხელმძღვანელობა.
13. მკითხველთა აქტიურობის ორგანიზაცი .
14. მეთაურთა და პოლიტ. შემადგენლობის მიზიდვა საბიბლიოთეკო მუშაობაში.
15. მასების თაოსნობა ბიბლიოთეკის ლიტერატურით შევსების საქმეში.
16. წითელ არმიელთა მონაწილეობით ნაწილის კედლის გაზეთში შინაარსიანი საბიბლიოთეკო კუთხე.
17. ბიბლიოთეკაში მიზიდულ ნაწილის წითელ არმიელთა დიდი პროცენტი.
18. მკითხველთა დიდი მოძრაობა და წიგნების ტრიალი ბიბლიოთეკაში.
19. ბიბლიოთეკარის ამხანაგური, ტკბილი მოპყრობა მკითხველთა მიმართ და კმაყოფილება ბიბლიოთეკარის მიერ.
20. სისტემატიური თვითგანვითარება და საბიბლიოთეკო ლიტერატურის კითხვა.

**საუკეთესო მკითხველის განსაზღვრის დროს მიღებულ იქნება მხედველობაში:**

1. თუ რა ხშირად დადის ბიბლიოთეკაში.
2. ბიბლიოთეკის მუშაობაში დახმარება და დახმარების შედეგები.
3. წაკითხულ წიგნების რაოდენობა და თვისება.
4. წიგნისადმი მოქცევა და მისი პროპაგანდა.
5. წაკითხულის შეთვისების ხარისხი.
6. წაკითხულის მიხედვით წითელ არმიელებთან მუშაობა.
7. წაკითხულის გარშემო ჩაწერის წარმოება.

კონკურსის გამტარებელი კომისია.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ.

1-ლ ლეგიონის ბიბლიოთეკა არ ჩამორჩება სხვა ნაწილების ბიბლიოთეკებს. აქ მოიპოება ყოველივე აუცილებელი წიგნები. ლეგიონის ბანაკად გასვლისთანავე ბიბლიოთეკაც გადატანილი იქნა ბანაკში.

ბიბლიოთეკიდან წიგნებით და ჟურნალებით სარგებლობენ, როგორც მეთაურთა შემადგენლობა, აგრეთვე წით. მოლაშქრეებიც.

გაზეთები და ჟურნალები ბიბლიოთეკაში სისტემატიურად მოდის, როგორც ქართული, ისე რუსულიც.

წით. მოლაშქრეები თავისუფალ წუთებსაც არ სტოვებენ უნაყოფოთ. ისინი მიეშურებიან ბიბლიოთეკისაკენ და სარგებლობენ ყოველივე იმ მასალებით, რომელიც არ არის მათი ლენინის კუთხეებში.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ბიბლიოთეკის გამგეობაც თავის დონეზე სდგას.

ვუსურვებთ მეტის ენერგიით მუშაობას ამხ. ბიბგამგეს, რომ შემდეგისათვის უფრო მეტის მუშაობით მოგვაწვდიდეს ყოველივე იმ წიგნებს, ჟურნალებს და გაზეთებს, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ წითელ-არმიელთა გასათვითცნობიერებლად.

სამხკორი ჟღენთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშაობა ცვალებადელთა შორის.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრების სურათი.

მე-6-ე ტერ-ლეგიონი.

საუცხოვო სანახავია ჩვენი ლეგიონის ყაზარმების ეზო, განსაკუთრებით საღამოობით, როდესაც სიცხით და მეცადინეობით დაღლილი წითელი მოლაშქრეებით გაივსება ის.

ქართველები, რუსები, სომხები, გერმანელები, თათრები ბერძნები, ერთიმეორეში ირევიან და ერთის გრძნობით ატარებენ ყაზარმულ ცხოვრებას.

ნამდვილ ინტერნაციონალურია ჩვენი ლეგიონი. არც ერთი ეროვნების შემადგენლობა არ გრძნობს თავს ობლად. ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს შორის ამხანაგური კავშირია გაბმული, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთებს ერთიმეორის ენაც არ გაეგებათ.

—კარგია ამ ტერიტორიალური ჯარში სამსახური—ამბობს ერთი ქართველი წითელი მოლაშქრე—რუსულსაც ვისწავლი, სომხურსაც და თათრულსაც თუ მოვინდომებ.

— Скоро мы научимся по грузински говорить—ეუბნება ერთი რუსი ცვალებადელი თავის ოცეულის უფროსს.

დუშეთის მაზრის ცვალებადელები კი ხშირად ცეკვა თამაშში ატარებენ დროს. სიმღერა და ცეკვა მათი დამახასიათებელი თვისებაა. ამითი განსხვავდებიან სხვა ცვალებადელებისაგან.

თათრებს არ აინტერესებს ცეკვა თამაში, გვერდზე არიან გამდგარი და ჩუმად საუბრობენ თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე.

სომხების ჯგუფი კი გადაღგომია ყაზარმის ეზოს გალავანს და სიამოვნებით გადაჰყურებს ელექტრონის ჭაღებით გაჩირაღდნებულ ქალაქის მიდამოებს, რომელსაც ზევიდან დაჰყურებს ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავით დავითის მთა.

სიმღერა, ცეკვა, მხიარულება, ჟივილ-ხივილი, გამვლელს ქორწილი ეგონება და არა ყაზარმის ეზო.

უცებ გაისმება ამოკითხვის განგაში და კმაყოფილი მოლაშქრეები მიაშურებენ თავთავიანთ ასეულების სადგომებს.

სამხკორი ნ. ა—ნი.

## როგორ ვცხოვრობთ.

4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.

ბევრი ნაკლი ჰქონდა ჩვენი ათასეულს.

არ გვქონდა კარგი შენობები, არ ვიყავით დაკავშირებული ადგილობრივ გლეხობასთან და მრავალი სხვა.

ამ უკანასკნელად, ცვალებადელების მიღებამდე პირველ ...ანებში მაინც, ათასეულს ცო...ა დაეტყო სიცოცხლის ნიშან წყალი, ამოქმედდა. ყაზარმებიც კი იქნა შეკეთებული და საერთოდ თანდათანობით იწყო განვითარება ათასეულის აღმშენებლობითი საქმიანობამ. ასეთი მდგომარეობაში შევხვდით ცვალებადელებს.

ამ ჟამად მუშაობა გამოცოცხლებულია. ყოველი კვირა სისტემატიურად იდგმება წარმოდგენები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევენ ადგილობრივ მუშებშიდაც. წარმოდგენები ყოველთვის უფასოა. ადგილობრივ გლეხებსა და მუშებთან იბმება კავშირი.

სამხედრო და პოლიტ. მეცადინეობა სასურველად მიმდინარეობს. მეცადინეობა უმთავრესად ატარებს ჯგუფურ ხასიათს და დიდი შედეგებიც მოაქვს.

ათასეულში ამოქმედებულია შემდეგი წრეები: პოლიტიკური, დრამატიული, სამხკორთა, მომღერალთა და სხვა ასეთები რომლებშიდაც მრავლად ეწერებიან ახლად მოსული ცვალებადელები.

სამხკორი ი. გურგენიძე.

## მოაგვარეთ პურის საკითხი.

2-რე არტლეგიონი.

აქამდე ვერ მოწესრიგდა ხსენებულ ლეგიონში პურის ...ავის დროზე მოწოდების საკითხი. სადილს ვიღებთ ყოველ...ვის 12 საათზე. ვდგევართ და ველოდებით პურის მიღებას, ...გრამ მოლოდინს ბოლო არ უჩანს. ხშირად პური, სადილის ...არიგების შემდეგ, სამი და ორი საათის შემდეგ თუ მოვა. ...ეთი უწესრიგობის შესახებ, კი ხმასაც არავინ იღებს; არა ...ა სამ საათიდან და უფრო ადრეც ისევ მეცადინეობას ვიწყებთ ...ა ვისაც საკუთარი ფულით არ შეუძლია პურის შეძენა უსა...ილოდ ვრჩებით.

დროა ჩვენი უფროსები მიაქცევდენ ყურადღებას ამ მოვლენას და რაც შეიძლება სასწრაფოდ მოუღებდენ მას ბოლოს. ასე გაგრძელება შეუძლებელია.

სამხკორი ჩ ხმანდი.

## კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

(მეექვსე ლეგიონი.)

ტერ-არმიელები ჩვენს ნაწილში მოსვლისთანავე ჩაებენ ...ნაწილის საერთო საქმიანობა...

მათი მოსვლისთანავე ლეგიონის კლუბისა და ლეგრედკოლეგიის ხელმძღვანელობით არჩეულ იქნა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობა, ყველა ერებისათვის ცალ-ცალკე, თავიანთი ნაციონალურ ენებზე კედლის გაზეთების გამოსაშვებათ.

ასეთი რედკოლეგიები არჩეულ იქნა ქართული, რუსული, სომხური, თათრული და გერმანული კედლის გაზეთების გამოსაშვებათ.

არჩეული რედკოლეგიები ერთი მეორეს ეჯიბრებიან კარგი გაზეთის გამოშვებისათვის.

დღემდე უკვე გამოშვებულია ქართული და თათრული კედლის გაზეთები.

პირველ ორ კვირეულ კედლის გაზეთში, სახელწოდებით „ხმა მეექვსე ლეგიონისა“, კარგათ არის გაშუქებული ტერარმიელების ამ პირველი შეკრების მნიშვნელობა, დისციპლინის, ნაწილის საერთო ყოფა-ცხოვრების, პარტიული ცხოვრების, სპორტისა და სხ. საკითხები. აქვეა მოთავსებული სხვა და სხვა კარიკატურები, ბიბლიოგრაფია და სხ.

თათრული გაზეთი გამოვიდა „ტერ-არმიელის“ სახელწოდებით, სადაც სხვა და სხვა განყოფილებებში მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული, იმ მომენტს, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდათ თათარ ტერ-არმიელებს წითელ ყაზარმაზე და რა ნახეს იმათმა აქ სინამდვილეში და როგორი გავლენა იქონია მათზე წითელ ყაზარმამ.

საერთოდ თათარი წითელ არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ ნაწილის ყოველგვარ მუშაობაში.

იმედია რედკოლეგიები კიდევ უფრო გააცხოველებენ მუშაობას და მუშაობაში ჩააბამენ ტერ-არმიელთა ფართე მასას.

უკანასკნელ დღეებში გამოვიდა აგრეთვე გერმანული ორ კვირეული კედლის გაზეთი.

(გაგრძელება იქნება).

სამხკორი თუდღრისპირელი.

## სამხ. პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

—კაცო, ბანაკში ჩამოვედით, ხალხმა გაიგო ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლა ჩამოვიდაო და რა ვქნათ, რითიმე უნდა გამოვჩნდეთ—გავაცნოთ ჩვენი თავი საზოგადოებას!

—ბიჭო იცი?!. აქ თურმე ორი წელიწადია ქართული წარმოდგენა არ გაუმართავთ, მოდი დავდგათ რამე!—უპასუხებს მეორე კურსანტი, და ამ ას წლოვან ფიჭვის ძირას მდგომ ერთ ჯგუფ კურსანტებში—გაიმართა საუბარი—საღამოს გამართვაზე...

აგერ გამოჩნდა წიგნებით ხელში ჩვენი ოთხთვალა კლუბის გამგეც! მას დიდი ხანია უფიქრია საღამოს მოწყობაზე, გეგმაც შეუმუშავებია და ეხლა ამხანაგებს აცნობს... ხვალ რეპეტიცია უნდა დავნიშნოთ!—ამბობს ის!

კვირას, 7 ივნისს მართლაც დაიდგა უფასო წარმოდგენა—მეორე ლეგიონის კლუბში... წარმოდგენის წინ სიტყვით გამოვიდა ამხ. ერემია იმნაიშვილი სოფლათ მუშაობაზე... შემდეგ დრამა, მერე კომედია მოხდენილი თამაშითა და ღამის 12 საათზე ყველანი კმაყოფილი დაიშალენ.

შემდეგი წარმოდგენა სოფელში—საშეფო სოფელში... ყველას სოფელი ახსოვს, ყველა იქაურ მუშაობაზე ფიქრობს!.. ეხლა საშინელი ამინდებია, თორემ ამდენხანს-სოფელსაც ვეწვეოდით..

გრ. შამგულიძე.

# ჩვენი ნაწილების ცხოვრება ბანაკში.

## ჩვენი კავშირი გლეხობასთან.

პირველი ლეგიონის პირველი ასეულის წითელ არმიელებმა 11 ივნისს გამოვცვალეთ № ხიდზე მოდარაჯე წითელ არმიელები.

დილის 4 საათი იყო, როცა ჩვენ მივედით საყარაულო შენობაში. მოდარაჯე წითელ არმიელები ძლიერ მხიარული დაგვიხვდენ.

იმ დღესვე შევუდექით სახაზინო ქონების გადაბარებას, რის შემდეგ გამოგვემშვიდობენ ძველი მოდარაჯეები და წავიდენ პირველ ლეგიონში.

ჩვენ გულმოდგინეთ შევუდექით ჩვენი მოვალეობის შესრულებას, ჩვენს სადარაჯოს ვდგავართ მტკიცეთ და ურყევათ.

საყარაულოსთან მახლობლად სახლობენ ოსები, რომლებიც ხშირად მოდიან საყარაულო შენობის მახლობლად. ისინი გვეუბნებიან: „ჩვენ ძლიერ ჩამორჩენილი ვართ, წაგვიკითხეთ გაზეთი და გაგვაგებინეთ რაიმე ახალი ამბავიო“.

ჩვენც რა თქმა უნდა ყველაფერს უხსნით, ვაცნობთ მათ საბჭოთა ხელისუფლებას, მიმდინარე მომენტს და სხ. ამის შემდეგ მათში ჩვენ კარგი ავტორიტეტი მოვიპოვეთ და იმათმაც კარგი თვალით დაგვიწყეს ყურება. ისინი ძლიერ მოხარული არიან ჩვენი ასეთი მოქმედებით და მადლობას უძღვნიან საბჭოთა მთავრობას, რომელსაც წითელ არმიელები კარგათ მოუმზადებიაო.

ცომაია.

## სამხედრო მეცადინეობის საქმე კარგ დონეზე არის დაყენებული.

ქართ. მეთაურთა სკოლა.

წელს ქართულ მეთაურთა სკოლაში სამხედრო სწავლების საქმე მეტად კარგ დონეზედ არის დაყენებული, რადგან ამ დარგში თავიდანვე კარგი სამუშაო გეგმა იყო შედგენილი. თითეულ ასეულს და განყოფილებას ორშაბათ დილით გამოკრული აქვს კვირეული სამეცადინო ცხრილი.

ეხლა ჩვენ უკვე გავდივართ ველად, ტაქტიკურ მეცადინეობაზედ. თითეული ასეული დამოუკიდებლად სწავლობს შეტევას, მოგერიებას, დაზვერვას, როგორც დღით ისე ღამით. ჯერ-ჯერობით გავიარეთ ათეულისა და ოცეულის ყოველგვარ მდგომარეობაში მოქმედება და ამ ჟამად გადავდივართ ასეულის სწავლებაზედ.

გავდივართ აგრეთვე სროლას, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად. შევისწავლეთ ხელის ყუმბარების შემადგენლობა და მათი მოხმარებისა და სროლის საქმე.

ყველა ჩამოთვლილ მუშაობას ხელმძღვანელობდენ სამხედრო ცოდნით აღჭურვილი მეთაურები, რის შეწყობით სამხედრო სწავლების საქმე წელს კარგ შედეგებს იძლევა შედარებით სხვა წლებთან.

სამხკორი შაქრო.

## ქალთა ბიუროს დაარსება.

3-მე ლეგიონი.

3-მე ქართულ ლეგიონში უკვე ჩამოყალიბდა ქალთა ბიურო. 27 ივნისს შესდგა ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობის ქალთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. თავართქილაძისა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება ქალთა მოძრაობის და მისი ამოცანების შესახებ 2) ქალთა ბიუროს არჩევნები 3) მიმდინარე საკითხები:

პირველი საკითხის გარშემო, ესე იგი, ქალთა საერთაშორისო მოძრაობაზედ და მის მნიშვნელობაზედ მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის კლუბის უფროსი ამხ. ს. გეგია. მან ვრცლად და გასაგები ენით აღნიშნა საერთოდ ქალთა ამოცანები და მისი მნიშვნელობა. მომხსენებელმა გააცნო კრებას ძველი და ახალი ქალთა ბელადები და მათი მოღვაწეობა, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელ ქალებზე, რის შემდეგაც იქმნა გამოტანილი შესაფერი დადგენილება.

შემდეგ მოხდა ქალთა ბიუროს არჩევნები. არჩეულია ხუთი წევრი, რომლებსაც დაევალათ მომავლისთვის გაუძღვეს და გამოაცოცხლოს ქალთა შორის მუშაობა. ამას გარდა წევრებმა კავშირი უნდა დაიჭირონ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და აგრეთვე ახლო მომავალში დაუახლოვდენ ამა თუ იმ სოფლის ქალთა მუშაობას და ხელ ჩაკიდებული ერთად გასწიონ წინ საერთო მიზნისაკენ.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო კავშირს, გაუმარჯოს ახალ მთლიან ქალთა ორგანიზაციას მესამე ლეგიონში უსურვებთ მათ ენერგიით მუშაობას.

ქალკორი

ირაიდა გოგოტიშვილისა.

## გვიხსენით სპეკულიანტებისაგან.

1-ლი დივიზიის ნაწილების ბანაკად გასვლის რამოდენიმე ხნის შემდეგ, ბანაკთან ახლოს გაიხსნა ცალკე საკავშირო ასეულის და მესამე ლეგიონის შეერთებული სამხედრო კოოპერატივი. საუბედუროდ ეს კოოპერატივი სრულიად უსარგებლოა წითელ არმიელებისთვის, ვინაიდან უმთავრესი საჭირო საგნები იქ არ მოიპოვება. სამაგიეროთ იქ ბევრია: პუდრები, ბისკვიტები და სხვა ასეთი ძვირფასი საქონელი, რომელიც სრულიად მიუწვდომელია წითელ არმიელებისთვის.

მაგალითად ძალიან ცუდათ არის დაყენებული საკითხი იაფ ფასიანი პაპიროსების შესახებ. ძვირფას პაპიროსებს რამდენიც გინდა იშოვით, მხოლოდ იაფ ფასიანი კი, რომელიც აუცილებელია არ არის.

შემდეგ სასურველი და საჭიროცაა, რომ კოოპერატივში იქონიონ: ყველი, ხილი, ძეხვები და სხვა ასეთი საჭმელები. თუ ასეთები კოოპერატივს არ მოეპოვება ვისი ბრალია?

ჩვენს შეკითხვაზედ კოოპ. გამგე იძლევა პასუხს, რომ მას ვითომ არ აძლევენ ნებას იქონიოს ისეთი საქონელი, რომელიც არ მოეპოვება სურამის „ევკოგრუზის“ განყოფილებასო. თუ რამდენათ მართალია ეს არ ვიცი, მაგრამ ის უფრო დასაჯერებელია, რომ წითელ არმიელის საჭიროებას მთავარი მაღაზიის გამგეობა ყურადღებას მიაქცევს.

ამ მოვლენას ზედ დაერთო ისიც, რომ იქვე მახლობლად კერძო ვაჭრებმა გახსნეს სავაჭროები, სადაც ბლომად მოიპოება წვრილმანი, ხილეულობა და იაფ ფასიანი საქონელი.

აგრეთვე არა სასურველი მოვლენაა ის, რომ მეთაურთა შემადგენლობის ოცდაათ პროცენტს კრედიტი აქვს გახსნილი ამ კერძო სავაჭროებში, რაც აფერხებს კოოპერაციის წარმოების გაფართოებას და მისი ავტორიტეტის მოპოვებას წითელ არმიელებში.

ამასთანავე ამ კერძო მოვაჭრებს დუქნების უკან მოწყობილი აქვთ პატარა ფარდულები, სადაც იყიდება მაგარი სასმელები. ეს დუქნები ახლოს არის თვით ბანაკთან და წითელ არმიელებიც რასაკვირველია ხშირად ებმებიან ამ ჩარჩების ქსელში.

საჭიროა ყოველივე ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

კლდის ძირელი.

# პარტიული ცხოვრება.

პირველი ლეგიონის მესამე ასეულში 27 ივნისს მოხდა კომუჯრედის ღია კრება, სადაც გაირჩა შემდეგი კითხვები: 1. მოხსენება ჩინეთის ამბებზე და 2. პარტიაში ახალი წევრების მიღება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ქაჯაიამ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ჩინეთის მშრომელი ხალხის აუტანელი მდგომარეობა და ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ უკანასკნელების ულლისაგან განთავისუფლებლად.

მოხსენების გარშემო იყო მრავალი მეკითხვები, რის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება თანაგრძნობას უცხადებს ჩინეთის მშრომელი ხალხის ბრძოლას მტაცებლების წინააღმდეგ და უსურვებს მათ საბოლოო გამარჯვებას მჩაგვრელებზე, ს. ს. რ. კავშირის მშრომელებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული.

ამავე კრებაზე განხილულ იქნა რამოდენიმე ანკეტა, იმ წითელ-არმიელებისა, რომლებიც ითხოვენ პარტიაში შემოსვლას.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

# ახკომკავშირელთა შორის.

**საარტილ. ლეგ. მეოთხე საგაუბიცო ბატარეა.**

ჩვენს ბატარეაში ახკომკავშირის მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. აქ თითეული კავშირის წევრი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინოს და მაგალითის მაჩვენებელი გახდენ და დააინტერესონ თავისი საქმიანობით წითელ არმიელთა ფართო მასა. ხშირად იმართება კავშირის უჯრედში მოხსენებები, რომლებსაც უპარტიო ამხანაგებიც მრავლად ესწრებიან. ბევრი მშრომელი უპარტიო ახალგაზრდები არიან დაინტერესებული კავშირის საქმიანობით და მომზადებული არიან შემოვიდენ ჩვენს რიგებში.

უჯრედი დიდ ანგარიშს უწევს უპარტიოთა შორის შექმნილ ასეთ განწყობილებას და კიდევაც დაარიგა ანკეტები. იმედი გვაქვს მრავალი ახალი ძალები შამოემატებიან ჩვენს რიგებს და კიდევ უფრო განაყოფიერდება მუშაობა.

წ. არ. გრ. ბარათაშვილი.

# კარგად გვკვებავენ.

**3-ე ლეგიონი.**

ბანაკად გასვლის შემდეგ ჩვენს ლეგიონში კვების საქმე გაუმჯობესდა. პურის ხარისხი საგრძნობლად გამოკეთდა, კერძიც ნოყიერი და სუფთად მზადდება. მხოლოდ თვით სამზარეულოში არის ცოტა უსუფთაობა, რაც საჭიროა გამოსწორდეს.

ამას გარდა უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წითელ არმიელები არ უფრთხილდებიან შაქარს. მიიღებენ თუ არა თვის ულუფას, გარბიან და ან ჰყიდიან და ან სცვლიან თამბაქოზე. ამას სისტემატიურად სჩადიან ისინი და ხშირად სწორედ ამიტომ მარტო პურს შეექცევიან.

საჭიროა ამის წინააღმდეგ მიღებულ იქმნას სათანადო ზომები და თუ ვერ გასჭრის ვერავითარი ზომები, მაშინ უკეთესი იქნება ყოველ დღეს დაურიგდეს მათ შაქრის დღიური ულუფა.

სამხკორი ა. ჭკადუა.

# ამბები სოფლებიდან.

**ხიდის ასაშენებლათ.**

სოფ. გომის (გორ. მაზრა) თემაღმასკომი შეუდგა ქვის მასალის დამზადებას მოხისის ხიდის ასაშენებლათ.

**კომისიები სოფლათ.**

გორის აღმასკომის მოწერილობის თანახმად გორის მაზრის ყველა თემებში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შემოსულ განცხადებათა განმხილველი კომისიები.

**მიწის საკითხის მოსაგვარებლათ.**

თელავის აღმასკომმა იშუამდგომლა მთავრობის წინაშე ყვარელის ჩრდილოეთ მხარეში მიწათ მოწყობის საქმის დაჩქარებით ჩასატარებლათ სამი მიწის მზომელის გაგზავნის შესახებ.

**საფერშლო პუნქტი.**

სოფ. ბალღოჯიანის (თელავ. მაზრა) გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე საფერშლო პუნქტის გახსნის შესახებ.

**გლეხების შუამდგომლობა.**

სოფ. შარდომეთის (რაჭა) გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზრო აღმასკომის წინაშე მდინარე ყრიონზე სოფლის მახლობლათ ხიდის აგების შესახებ.

**ხაშურში.**

ხაშურის თემაღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს ქუჩების მოსარწყავათ, ოთხი კასრი.

**სინათლის გაყვანა.**

ხაშურის აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ელექტრო სინათლე ყველა მიყრუებულ ქუჩებზე.

**სკოლის და კლუბის მოწყობა.**

სოფ. ცახში (ქვემო რაჭა) სათემო აღმასკომის მეთაურობით უკვე შეუდგნენ კლუბისა და სკოლის შეკეთება-მოწყობას.

**აჭარის გლეხკომების ყრილობა.**

5 ივლისს, ბათომში გაიხსნა სრ. აჭარის გლეხკომების ყრილობა. ყრილობას მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს სოც. უზ. სახ. კომისარიატმა და საქ. გლეხკომთა ცენტრ. კომიტეტმა.

# ახალი ამბები.

— **საექიმო დახმარება ტერნაწილებს.** ჯანსახკომის სანიტგანყოფილებამ მიიღო სახკომსაბჭოსაგან საჭირო თანხა ცვალებად შემადგენლობისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. თანხა განაწილებულ იქნება მაზრებს შორის.

— **სამხედრო კორესპონდენტები.** მეორე დივიზიის რემედასის კომიტეტმა მისწერა ყველა ნაწილებთან არსებულ რემედასის უჯრედებს, რომ მათ იყოლიონ თითო პასუხისმგებელი სამხკორები, რომლებიც სისტემატიურად მიაწვდიან პრესას ცნობებს მათი უჯრედის მუშაობის შესახებ.

— **წითელ არმიელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველათ** მარტო ტფილისის გარნიზონის ქართ. ნაწილებში მუშაობს 14 მასწავლებელი.

— **სოფლად მუშაობის სექციაში** (ქალაქის აღმასკომი) კომუნალური სექციიდან გადარიცხულ იქნება, აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით 25 ამხანაგი.

— **საბონდაჟო სახელოსნო** წარმოკავშირმა მოაწყო საბონდაჟო სახელოსნო.

— **უმუშევართა დაზღვევა.** ამ ჟამად ტფილისში ირიცხება 5000 დაზღვეული უმუშევარი, რომელნიც ღებულობენ ფულად სხვა და სხვა სახის დახმარებას.

— **თამბაქოს მოსავალი.** წარმოკავშირის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა კუთვნილ პლანტაციებიდან მოელიან წელს 100 ათას ფუთ თამბაქოს.

— **ქიათურის მაღაროებში.** შრომის პირობების დასაცავად შრომის სახ. კომისარიატი იმუშავებს დაწვრილებითი გეგმას.

— **ციებ-ცხელებასთან ბრძოლის საწარმოებლათ** კახეთში, ალაზანს გაღმა, ჯანსახკომმა გაგზავნა საექიმო რაზმი.

— **აგურის ქარხნები.** ამ ჟამად საქართველოში ითვლება 5 ქარხანა, რომელიც ამუშავებს 10 მილიონ ცალ აგურს ყოველ წლიურად.

# ხელოვნება.

— **ვახტანგოვის სახელობის სტუდია** დღეს გამართავს წარმოდგენას დაკლებულ ფასებში პროფკავშირის წევრთათვის.

— **ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლთა დაცვა.** ამ დღეებში კახეთიდან ტფილისში ჩამოიტანეს მრავალი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

მათ შორის აღსანიშნავია: 8 ცალი არაბული ფული აღმოჩენილი სოფ. კარდანახში, „მადლის ქვა“ სოფ. საგარეჯოდან დავით გარეჯელისა, მისივე კვერთხის თავი; ნინოწმინდიდან—ძველი ზარბაზანი (მე-18 საუკუნის,) რომელიც შემკულია ლომებით; ხურჯინი ფიცრისა ტყავ გადაკრული, რომელითაც მტრის შემოსევისას, გადამალავდენ ხოლმე საეკლესიო განძეულობას, ძველი თოფები 9 ცალი (სიგრძე ერთი თოფისა 2 არშ. და 12 ვერშ.), ძვირფასი ქსოვილები და სხვა.

# უცხოეთის ავიაციაში.

**რამდენი ოფიცერია ინგლისის საჰაერო ფლოტში.**

თემთა პალატის სხდომაზე ინგლისის საჰაერო ძალების—ავიაციის მინისტრ ხორნიმ პასუხი გასცა მიცემულ შეკითხვაზე და განაცხადა, რომ ინგლისის საჰაერო ძალების ოფიცერთა რიცხვი აღწევს 3.314 კაც. მათ შორის 2.607 ნამდვილი მფრინავებია.

**ინგლისის საჰაერო ძალების აღლუმი.**

27 ივნისს ჰენდონში მოხდა ადგილობრივი საავიაციო ძალების აღლუმი. პროგრამაში შეტანილი იყო 26 ფიგურალური გაფრენა, საჰაერო ბრძოლა ყუმბარმზიდავსა და 2 თითო ადგილიან გამანადგურებლებს შორის, მიწაზე გაკეთებულ მიზნებისათვის ცეცხლის დაშენა და სხვა.

**ახალწვეულ მოხალისეების მიღება საფრანგეთის საჰაერო ფლოტში.**

37 საავიაციო ლეგიონში, რომელიც იდგა მაროკოს ქალაქ რაბატოში, სწარმოებს მოხალისე სპეციალისტ—ახალწვეულების გაძლიერებული მიღება. სამსახურში იღებენ მექანიკოსებს, შოფერებს, ხარატებს, ამწყობებს და სხვა. სამსახურის ვადა ხელის მოწერის მიხედვით არის 2—5 წლამდე.

**ელექტროფიკაცია ქმნილი ფლოტი.**

ჩრდილოეთ ამერიკის საზღვაო ფლოტი ერთად ერთია, რომელშიც ყოველმხრივად გამოყენებულია ელექტრონული ენერგია. ამერიკის ე. წ. 6 ზედრედნოუტებში, რომლებიც საერთო ჯამით არიან 32.000 ტონის წყალტევის, თითქმის სრულიად მოხდენილია ელექტროფიკაცია.

ამ ფლოტისაგან მოხმარებული ენერგიის რაოდენობა აღწევს 144,000 კილოუტამდე.

როგორც სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს ეს ენერგია ჩვეულებრივ ელექტრონის სანათურს ეყოფოდა 657 წლის განმავლობაში. ამ ენერგიით ელექტრონის მტარებელს შეეძლო შემოევლო დედამიწის მთელი ბურთის ნახევარი.

ჯერ-ჯერობით ასე არ არიან მოწყობილი ამერიკის ტრანს-ატლანტიური გემები. ინჟინერების თქმით მათი ასეთი წესით მოწყობაც მისცემდა სახელმწიფოს 25 პროცენტ ეკონომიას.

**საავიაციო სკოლების რიცხვის ზრდა ამერიკაში.**

ენერგიულ ავიოაგიტაციის შედეგად ამერიკაში ელვის სისწრაფით იზრდება კერძო საავიაციო სკოლებისა და აეროდრომების რიცხვი. მაგალითა[დ] 23 წლიდან სკოლების რიც[ხ]ვი—თერთმეტიდან გაიზარ[და] 23-დე. სწავლის მიღების ქ[...] ამ სკოლებში მერყეობს 250[-]500 დოლარამდე. ჰაეროდრ[ო]მების რიცხვი ამავე ხნის გ[ა]მავლობაში გაიზარდა სამჯ[ერ].

# პასუხად ტ. კაკოს და კაკოს.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს №№ 133 და 143 ამხ. ტ. კაკო და იგივე კაკო ეხება რა მესამე ლეგიონში წარმოებულ საკლუბო მუშაობას, სამხკორთა წრის საქმიანობაზეც მჭერმეტყველებს, თითქოს ის არაფერს არ აკეთებდეს და მარტო ქაღალდზე აღნიშვნით განისაზღვრებოდეს მისი არსებობა.

არ ვიცი რა აიძულებს ამხანაგს ილაპარაკოს ასე ურცხვად, მაგრამ მე მაინც მინდა ავღნიშნო, რომ ამხ. ტ. კაკოსა და კაკოს წერილები სრულიად არ შეეფერება სიმართლეს.

თუ განზრახ არ გამოდის ამხ. ასეთი ბრალდებით, მაშ რას მივაწეროთ ის გარემოება, რომ მის მიერ უმოქმედოთ ცნობილ წრეებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ მუშაობა და ის მაინც ასე ლაპარაკობს მათ შესახებ?

რას აკეთებს და რა გააკეთა სამხკორთა წრემ დღევანდლამდე?

ამხ. კაკომაც კარგად იცის, რომ წრის ხელმძღვანელობით ჯერ-ჯერობით გამოსულია 22 ცალი კედლის გაზეთი (სამი თვის განმავლობაში).

ჩვენი სამხკორთა წრე ყოველმხრივ ღებულობდა ზომებს, რომ ნაწილის ცხოვრება მიუდგომლად გაშუქებულიყო, როგორც გაზ. „წითელ არმიელის“ ისე გაზ. „წითელი ვარსკ[ვ]ლავის“ ფურცლებზე. წრე ყოველმხრივ ღებულობდა ზომებ[ს], რაც შეიძლება მეტი წითელ არმიელები ჩაება კედლის გა[ზ]ეთების თანამშრომლებათ, ა[წ]არმოებდა მეცადინეობას და ს[ხ]ვა, რის დასამტკიცებლად ყო[ვ]ელ წუთს შემიძლია გიჩვენო[თ] საბუთები.

ასევე მოქმედებდა ამხანაგი[ს] მიერ აბუჩად აგდებული სპორტ[ის] წრე. თქვენ სწერთ თითქო[ს] ფეხბურთელთა ჯგუფის მე[ტ] არაფერს აკეთებდა. მიკვირ[ს], რად ვერ ხედავთ, რომ ყოველ დღე სწარმოებს თავისუფალ[ი] ვარჯიში და შემდეგ ყოვე[ლ] ნაშუადღევს წრეები ყველა სპორტიული იარაღებზე ვარჯიშო[ბ]ენ. წრეს ყოველგვარი იარა[ღ]ები აქვს. გაკეთებული იქნ[ა] სავარჯიშო პლაცი თავის ჭი[ლ]კრებით და სხვა მრავალი სა[]ჭირო რამ კიდევ.

შეძენილია ყველა მოვარჯი[]შესათვის ყოველნაირი ტანსაც[]მელი. თქვენი თვალის წინა[ც] მრავალჯერ უვარჯიშიათ დ[ა] არ ვიცი რად სწერთ სიცრუ[]ეს.

კარგი იქნება შემდეგში მაი[]ნც სისწორით აღნიშნავდე[თ] ფაქტებს და შეცდომაში არ შე[]იყვანდეთ, როგორც რედაქ[]ციას ისე მკითხველებს.

ს. გეგია.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონის პარტ-ბიუროში შემოსულია განცხადებები კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგი ამხანაგებისაგან:

1. ჯიქია ისიდორე ექვთიმეს-ძე, რიგის წით. ლაშქრელი, ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის რაიონიდან.

2. ლომჯანიძე სტეფანე თედორეს-ძე, რიგის წით. ლაშქრელი, სიღნაღის მაზრა ერგეთის თემი.

3. სარჯველაძე ერმილე პორფილეს-ძე, რიგის წითელი ლაშქრელი, ოზურგეთის მაზრა, ჩიბათის თემი.

თუ ვინმეს მოეპოვება ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე უარყოფითი მხარეების ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მესამე ქართულ მსრ. ლეგიონის პარტბიურო-კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. **ულელს.** თქვენი კორესპონდენცია „5-თე ლეგ. 1-ლ ათასეულის კომკავშირის შესახებ“ არ გავა. სწერეთ კონკრეტიულად კავშირის მუშაობისა და მის მიერ მიღებულ პრაქტიკულ ღონის ძიებების შესახებ.

ამხ. **პ. როსნაძეს.** სწერეთ ფაქტებით ხელში თუ რა კეთდება საკონსულტაციო ბიუროში.

ამხ. **შ. სურგულაძეს.** კორესპონდენცია „1-ლ ლეგ. 2-რე ასეულის საყურადღებოთ“ არ გავა. ასეთი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ამხ. **ყრუაშვილს.** წერილი მეორე არტლეგიონზე გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. **ბაშელს.** თქვენი წერილი არტლეგიონის ცხოვრებაზე კარგი იქნება კედლის გაზეთში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3.